საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 120,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე უკანასკნელზე. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 10—34.

ფასი 5000 მან.

№ 217

ოთხშაბათი, მაისის 17

1922 წ.

სახალხო სახლი
ოთხშაბათს მაისის 17-ს
წარმოდგენილი იქნება:
„ჰამლეტ“
ჰამლეტის როლს შეასრულებს—ვახტანგ გარრიკი.
დასაწყისი სღ. 8 ½ ს.

## საჯარო ვაჭრობა

ქ. ტფილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება ნიშნავს საბოლოო საჯარო ვაჭრობას ამა წლის 18 მაისს დილის 10 საათზე, საკუთარ მამულში (ყოფილ მანთაშევის—ორთაჭალაში ვერანცოვის ქ. № 125), ხეხილის მოსავლის (ვაშლი, ალუბალი, გარგარი, ატამი, ქერამი და ქლიავი) გასასყიდათ დაახლოვებით 1000 ძირამდე.

პირობების გაგება დაწვრილებით შეიძლება საადგილ მამულო განყოფილებაში ოთახი № 52 აგრეთვე თვით მანთაშევის მამულში ორთაჭალაში მამულების გამგესთან.

საადგილ-მამულო განყოფილება.

## ახალი ეტაპი

კარგი პოლიტიკოსი ის არის, ვინც უწევს ანგარიშს სინამდვილეს, ფაქტებს და ცხოვრების მძლე ტალღებისაგან წამოყენებულ საკითხებს. სუბიექტიური განწყობილება და სურვილები არ შეიძლება დაედვას სარჩულად პოლიტიკურს მოღვაწეობას და საზოგადოებრივს საქმიანობას. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკოსი განწირულია უნაყოფოდ და უშედეგოდ დახარჯოს თავისი ენერგია და გარიყული დარჩეს; ფაქტები და მოვლენები თავის გზით განვითარდებიან, ხოლო ასეთი მოაზროვნის შემოქმედება მარტო მეტაფიზიკურ და აბსტრაქტულ სამყაროში იბოგინებს.

უფრო სამწუხარო და ხშირად საბედისწერო ხასიათს ღებულობს ასეთი გარიყვა კონკრეტულ მდგომარეობის შეცნობისაგან მაშინ, როცა ამ როლში გამოდის არა ერთი და ორი პიროვნება, არამედ მთელი ჯგუფები და თვალსაჩინო ნაწილი მასსებისა.

ჩვენშიაც აქვს ადგილი ასეთი თვისების გზა-აბნეულობასა და გაუგებრობებს და ამიტომ ჩვენ, როგორც არა ერთხელ, გვინდა მივაქციოთ მკითხველის ყურადღება ამ დიდს ნაკლს ჩვენი მასსების პოლიტიკური უმწიფობისა და მოუმზადებლობისას.

რაღა თქმა უნდა ჩვენ მიზნად არ გვაქვს მგლის თავზე სახარება ვიკითხოთ და სენტენციები უკითხად მენშევიკ მემარჯვენე ფედერალისტების პარტიულ ფანატიკოსებს, ან სოციალურად დაღუპვისაკენ დაქანებულს ქართველი ბურჟუაზიის იდეოლოგებს. მათ კუზიანი მხოლოდ მხედველობას მძიმე და ულმობელი ცხოვრების მუხრუჭი გაასწორებს.

ჩვენ მხედველობაში გვყავს უმთავრესად გაურკვევლობასა და მერყეობაში მყოფი ქართველ მუშათა და ინტელიგენციის მასსები. ჩვენი მოვალეობაა დავანახოთ მათ სურათები თანამედროვე საერთაშორისო ძალთა განწყობილებისა, შევაგნებინოთ სირთულე მომენტისა და მისგან გამომდინარე თვითეულს ჩვენგანზე დაკისრებული ვალდებულებანი.

მხოლოდ ამ გზით და ამ მიზნის განხორციელებაშია დამოკიდებული ბედი ჩვენი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის წარმართვისა; ამ პოლიტიკის განთავისუფლება ყოველივე ავადმყოფურ და მავნე მომენტებისაგან შეიძლება მხოლოდ ფართო მასსების შეგნებულად ჩარევით სელი სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში.

ეს კი მიუღწეველია მანამდის, სანამ აღნიშნული მასსების ფენები არ განთავისუფლებულა ყოველგვარ ილიუზიებისა და მოჩვენებებისაგან.

ამ ილიუზიებს კი ჰქონდა დღემდის გარეგნულად მოჩვენებითი სახის მასაზრდოებელი წყაროები.

რამოდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მშრომელ გლეხობასა და მუშათა კლასს ასწავლიდნენ ისეთი პოლიტიკური ამოცანების გამოყვანას, რომლის პასუხი აუცილებლად რუსეთის დიდი რევოლიუციის დამარცხებას უნდა შეეფარდებოდა. მოჩაახულ-მოპერილი ფაქტებისაგან შექმნილი კაზუსი თავის თავად გულისხმობდა იმ ფარ-ყოფით წარმოდგენას დიდ რევოლიუციაზე, რომლის წინააღმდეგ დღეს გვიხდება ზედმეტი შრომისა და ენერგიის დახარჯვა.

მაგრამ ამ საწამლავის საწინააღმდეგო წამალი მოიგონა თვით ცხოვრებამ და მისმა თანდათანობითმა განვითარებამ. ჩვენ მივიღეთ მთელი რიგი ფაქტებისა და მაგალითებისა, რომელიც საუკეთესო საბრძოლველი იარაღია ყოველგვარ მეშჩანიზმისა და გზა აბნეულობის წინააღმდეგ ერთი ინტერესებით გამსჭვალულ საქართველოს მშრომელთა რიგებში.

ერთი ასეთი და ფრიად დიდი მნიშვნელობის ფაქტი ქართველი მასსების გამოსაფხიზლებლად არის აუცილებლად გენუა.

დღემდის არა მარტო კომერსანტები და ვაჭრები უცდიდნენ გენუას შედეგებს, არა მარტო პოლიტიკური ვაჭრები და მუშათა კლასის გამცემლები, არამედ რამოდენიმედ შეფიქრიანებული იყო თვით უპარტიო ფონებიც მუშათა კლასისა და ჩვენი გაღატაკებულ-პროლეტარული ინტელიგენციისა. ამის მიზეზი იყო ერთის მხრით მემკვიდრეობა მენშევიკური პოლიტიკის და აზროვნული მეთოდისა და მეორეს მხრით ჩამოუყალიბებლობა რუსეთის რევოლიუციის ძლიერებისა საერთაშორისო განწყობილებებში.

რაღა თქმა უნდა, ამ მიზეზების გათვალისწინების შემდეგ, გასამართლებელი საბუთი ეძლეოდა იმ მერყეობასა და პოლიტიკურ გაურკვევლობას, რომელსაც დღემდის ქონდა ადგილი.

ძნელი იყო და ასე მოკლე დროში მიუღწეველიც კი მასების იმ სიმაღლემდის აყვანა, რომ მას შეეგნო რუსეთის რევოლიუციის ეკლიანი, მაგრამ გამარჯვებითი მსვლელობა.

მაგრამ დღეიდან პირობები მუშათა კლასის პოლიტიკური გათვითცნობიერებისა და აღზრდისა აუცილებლად უკეთეს პირობებში იქნება ჩაყენებული არა მარტო საქართველოში, არამედ საერთაშორისო მასშტაბშიაც.

და ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ კაცობრიობის განვითარების ისტორიის ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი დასწერა გენუამ. გენუას კონფერენციის ეს უდიდესი მნიშვნელობა რაღა თქმა უნდა არ აიხსნება მასში მონაწილე დიპლომატების განსაკუთრებული შემოქმედებით და ნიჭიერობით.

გენუას კონფერენციამ ითამაშა დიდი როლი საერთაშორისო მუშათა კლასისა და საზოგადოთ მთელი კაცობრიობის წინმსვლელობისათვის სწორედ იმიტომ, რომ მხოლოდ ამ კონფერენციამ შესძლო კაცობრიობაში ომის შემდეგ მომქმედ ძალთა გამოსახვა—გამომჟღავნება. გენუას მწვერვალზე უკვე ჩამოყალიბებული მოსჩანს ის ორი მეტოქე, რომელთა ბრძოლის ქვეშ ვითარდება ომისაგან გვემული კაცობრიობა: რევოლიუცია და კონტრრევოლიუცია, კომუნიზმი და კაპიტალიზმი—აი ის შეურიგებელი პოლიუსები, რომელნიც გენუას ორ სიმაღლიდან ხდება ასე ნათელი და თვალსაჩინოდ დასანახავი.

გენუას კონფერენციიდან დაინახა საერთაშორისო მუშათა კლასმა ზუნება და ღონე რუსეთის რევოლიუციისა და იმ გეზისა, რომელსაც უკანასკნელი ადგია 25 ოქტომბრიდან.

შეურიგებელი მტერი კაპიტალიზმისა და სოციალიზმის პრაქტიკულ სფეროში გადამტანი, საბჭოთა ფედერაცია მიდის დათმობებზეც იმისათვის, რომ დამარცხებული არ იქნეს მისი საბოლოო მიზანი. რუსეთის რევოლიუციამ გამოსცვალა ტაქტიკა ბრძოლისა, მაგრამ ენერგიულად აღრმავებს ამ ბრძოლას და თავდასასხმელ საშუალებებს იკრებს.

ყოველივე ეს გამოაშკარავდა უკვე გენუას კონფერენციაზე და ამიტომ გვგონია საქართველოს მშრომელთა მასების რიგებიც საბოლოოდ გამოირკვევიან იმ ქაოსიდან, რომელშიაც ჩააგდო იგი მენშევიკურმა სიბეცემ.

გენუას კონფერენციიდან შეიქმნა ახალი ეტაპი საქართველოს მუშათა კლასისათვისაც პოლიტიკური შორსმჭვრეტელობისა და აღზრდის მისაღებად.

კომერსანტებსა და ვაჭრებს შეძლება ეძლევათ საქართველოში გენუას კონფერენციის, შემდეგ დამშვიდებით აწარმოონ თავიანთი ოპერაციები, მაგრამ მუშათა კლასის სახელით მოვაჭრე კომერსანტებისათვის გენუას კონფერენციამ საკმაოდ მაგრად მოიხურა კარები.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ გენუას კონფერენციამ მოსპო ის მოჩვენებითი ნიადაგიც კი, რომლითაც მენშევიკ-მემარჯვენე ფედერალისტები სულს იბოგინებდნენ და ჰპირებით მაინც თავს ირთობდნენ.

სწორედ ეს სინამდვილე უნდა შევაგნებინოთ გენუას შემყურე ჩვენს მუშას და ინტელიგენციას და სათანადოთ ვისარგებლოთ იმ ფსიხოლოგიური გარდატეხით, რომელიც აუცილებლად მოჰყვება გენუას კონფერენციის დამთავრებას.

ახალი ეტაპი ჩვენში პოლიტიკური განვითარებისათვის გენუიდან იწყება.

ფიცხი.

## ეფემია მესხის იუბილე

### ჩვენი ნაცარქექია ინტელიგენცია

კვირას, რუსთველის სახელობის თეატრში ჩვენი ძვირფასი მსახიობის ეფემია მესხის იუბილე იყო დანიშნული. მე ვფიქრობდი, რომ ეფემია მესხის იუბილე და საღამო იქნებოდა ქართველ ინტელიგენციის ერთი სადღესასწაულო საღამო, სადაც ყველა ჩვენგანი ღრმესი სიამოვნებით მოიგონებდა ჩვენი მოღვაწეების იმ პლეადას, რომელნიც სიტყვით, კალმით თუ სცენით აპობდნენ ოთხმოციან წლების შავ რეჟიმის იმპერიალისტურ სუსხს და ქართველ ხალხს ეროვნულ სიცოცხლის აზრს უნერგავდნენ.

რამდენი ქართველისათვის ჩაუნერგავს ეფემია მესხს ქართული კულტურისადმი პატივისცემა, სიყვარული, სიამაყის გრძნობა, ხოლო რამდენი ჩვენი მტრისათვის დაუმტკიცებია მას, რომ საქართველო ყოველი კულტურული დარგით და ძალებით შემკული ქვეყანაა.

ეფემია მესხი 40 წელიწადი ლაპარაკობდა და იბრძოდა იმ ენით, რომელსაც რუსის შავრაზმელები ძაღლის ენას უძახოდნენ, იგი 40 წელიწადი ეწეოდა ქრონიკულ სიმშილს, მხოლოდ იმისათვის, რომ თავისი გრძნობებით, თავისი განცდით, ხელოვნებით, უანგარო შრომით შეექმნა ქართული თეატრი, თავი მოეყარა ქართველ ხალხის ძალებისათვის და ერთი აზრით გაქცლენთილი დაეპირისპირებია იგი ჩვენი მტრებისა და შავი ძალებისათვის.

ეფემია მესხი ჩვენთვის ისტორიაც არის და რომანტიკაც, საუკეთესო მოღვაწეთა მოგონება და ერთხელაც არის ჩვენთვის დავალების გახსენებაც, თუ როგორ უნდა ვიმუშაოთ, რა ვაკეთოთ.

კვირა დილას ტფილისის აღმასკომმა თავის ბაღებში დაამზადა უმშვენიერესი ყვავილების ცოცხალი თაიგული, რომელიც აღმასკომის სახელით უნდა მიერთმევინა იუბილიარისათვის ამხ. მახარაძეს.

მე ვფიქრობდი რუსთველის თეატრი სავსე იქნებოდა ყვავილებით, ყმაწვილებით, ინტელიგენციით, სურათებით... ვფიქრობდი, რომ კვირა საღამო იქნებოდა საღამო სიამოვნების, სიხარულის, სიცილის, ერიამულის, მილოცვების დღესასწაულის...

ნამდვილად კი საშინელი სიცივე, საყინული, სიცარიელე, უაზრობა, უგულობა, დაუდევრობა, არამზადობა, სიწამხდრე და ქარაფშუტობა.

ცარიელი თეატრი, არც ერთი ყვავილი, არც ერთი ახალგაზდა, არც ერთი ნიშანი სიხარულის, დღესასწაულის. ეს საღამო ჩვენთვის ნამდვილი წყევის საღამო იყო. იგი სავსებით დაახასიათებელია ჩვენი ნაცარქექია ინტელიგენციის, რომელსაც ეროვნული ცხოვრების სიყვარული ყელზევით აუკიდია, ხოლო საქართველოს საკითხებს ხედავს არშინ მალ-ალანებში ნაცვლად ნამდვილი ეროვნული ძალების სიყვარულისა და სამსახურში.

რომ შემძლებოდა ამ ნაცარქექია ინტელიგენციას, რომელსაც თითქოს ძვალ-რბილში გაუჯდა საქართველოს სიყვარული, შეეკონავდი ერთ დიდ გროვად და ეროვნული სირცხვილის ლაფში ამოვსვრიდი მისი გამახვილებისათვის. დარწმუნებული ვარ ესეც ძალიან ცოტაა ჩვენი ნაცარქექია ინტელიგენციისათვის.

ეფემია მესხის იუბილე ერთი კვირით გადადევს. სულით, გულით, მთელი ჩვენი არსებით თანაუგრძნობთ ქალბატონ ეფემიას. ჭეშმარიტად, თქვენ არა ხართ ღირსი ჩვენი დაკნინებული საზოგადოებისა. ვიცით, თქვენთვის ეს ერთი კვირა ნამდვილ ტანჯვის კვირა იქნება მაგრამ გწამდეთ: თქვენთან არიან საქართველოს ის შვილები, რომელნიც საქართველოს საკითხებს არ ახურდავებენ იაფფასიანი საღამოებით და რომელთაც თქვენთვის მოაქვთ ხელუხლებელი ცოცხალი ყვავილები,—ეს სიმბოლო განახლებული, აღორძინებისათვის განმზადილი საქართველოსი.

თედო ღლონტი.

## ამხ. ნარიმანოვი გენუის კონფერენციის შესახებ

კვირას, 14 მაისს, საღამოს 7 საათსა და 30 წუთზე ამხ. ორახელაშვილი გამოიწვია პირდაპირ მავთულზე მოსკოვიდან ამხ. ნარიმანოვმა. მათ შორის გაიმართა შემდეგი საუბარი:

**ორახელაშვილი.** გამარჯვებათ ამხან. ნარიმანოვო! როგორ მოხვედით თქვენ მოსკოვში? ფარით თუ ფარზე?

**ნარიმანოვი.** რასაკვირველია, ფარით. არა, მარტო მე ჩამოვედი დროებით მოსკოვში. ჩემთან ერთად ჩამოვიდა ამხ. იოფე სრულიად რუსეთის ცენტრალ აღმასკომის სესიაზე მოხსენების გასაკეთებლად. ჩვენთან ერთად უნდა წამოსულიყვნენ მდივანი და ბეკზადიანი, მაგრამ საქართველოს და სომხეთის საკითხმა ისინი შეაჩერა გენუაში. საქმე იმაშია, რომ მენშევიკები იქ აწარმოებენ დიდ კომპანიას. ფრანგულ გაზეთებში ყოველ დღე იბეჭდება ცნობები საქართველოში აჯანყების შესახებ. მაგრამ ჩამოსულმა ამხ. შეკმაზანოვმა (?) თავის წერილებით უარყო ეს ჭორები. გუშინ მოვიდა აქ დეპეშა, რომ კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოების კომისიამ უარყო საკითხი საქართველოსა, სომხეთის და აძერბეიჯანისა. ამ რიგად მენშევიკების პოლიტიკა დამარცხდა იმგვარად, რომ მას არ მიუცია არავითარი შედეგი.

**ორახელაშვილი.** შემიძლია დაგარწმუნოთ თქვენ იმაში, რომ საქართველოში, სომხეთში და აძერბეიჯანში მდგომარეობა არა თუ მტკიცეა და ურყევი, არამედ სავსებით მშვიდობიანიც. მთელი ამ ხნის განმავლობაში არა თუ არავითარი აჯანყების, არამედ უბრალო საპოლიციო წესრიგის დარღვევის შემთხვევაც არა ყოფილა. გამონაკლის შეადგენს ერთი თვენახევრის უკან ესერების მიერ მოხდენილი ბაქოს ერთი მრეწველობისათვის ცეცხლის წაკიდება, რისთვისაც ისინი პასუხს აგებენ სასამართლოს წინაშე. როგორია კონფერენციის დამოკიდებულება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დელეგატებისადმი? დაძრწიან თუ არა გენუაში ყოფილი მთავრობანი? მართალია თუ არა, რომ ჩვენ ხელშეკრულებას ვდებთ ჩეხო-სლოვაკიასთან ისევე, როგორც გერმანიასთან? არის თუ არა რეალური საშიშროება კონფერენციის ჩაშლისა?

**ნარიმანოვი.** კონფერენციის დამოკიდებულება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლებისადმი კარგია ჩვენ ვნახეთ გენუაში გეგეჭკორი და მდივანი (ბუდუს ძმა სოციალ ფედერალ.) ჩეხო-სლოვაკიასთან გრძელდება მოლაპარაკება ხელშეკრულების დადების შესახებ რაც შეეხება კონფერენციის ჩაშლის საკითხს უკანასკნელი დეპეშებიდან სჩანს, რომ ანტანტა მთელ ფრონტს იხევს უკან. მოლაპარაკება გრძელდება. რაც შეეხება საფრანგეთის დელეგაციას იგი ჯერ კიდევ მოელის პასუხს პარიზიდან. ეჭვს გარეშეა, რომ კონფერენციის ჩაშლის თავიდან ასაცილებლად რუსეთის საკითხებს გადასცემენ ექსპერტების განსაკუთრებულ კომისიას. ამას მოჰყვება რუსეთთან ცალ-ცალკე ხელშეკრულების დადება. ეს ჩვენი დიდი გამარჯვებაა. მეორე გამარჯვება მდგომარეობს იმაში რომ, ევროპა და მთელი ქვეყანა დარწმუნდა იმაში, რომ ჩვენ მართლაც და სერიოზულად ვეწყურია თანამშრომლობა, მაგრამ საფრანგეთი კაპიტალისტთა მცირე ჯგუფის ინტერესებისათვის არღვევს საერთო მშვიდობიანობას. ამაზე სწერენ ევროპის ყველა გაზეთები. მთელი საკითხი ანტანტისათვის მდგომარეობს იმაში რომ ჩვენ დავუბრუნოთ უცხოელ კაპიტალისტებს მათი ყოფილი ფაბრიკა-ქარხნები. სხვა საკითხები მას არ აინტერესებს. უკანასკნელ ხანებში ინგლისი და იტალია შეუერთდენ ჩვენ წინადადებას, რომ ჩვენ თანახმა ვართ ჩვენი შეხედულების თანახმად გადავსცეთ ყოფილ მესაკუთრეთ მათი ქონება კონცესიის საფუძველზე. ჩვენ შევძელით განხეთქილება ჩამოვგვეგდო გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის და ამას მივაღწიეთ იმიტომ, რომ ევროპის სამეურნეო მდგომარეობა კატასტროფულია. ამაზე მუდამ წუთს ლაპარაკობენ ინგლისის, იტალიის და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები. ჩვენმა უკანასკნელმა პასუხმა კიდევ უფრო დაარეტიანა მოკავშირენი. უკანასკნელი დეპეშებიდან სჩანს, რომ მათ სურთ ყოველ მიზეზის გარეშე განაგრძონ ჩვენთან მოლაპარაკების წარმოება.

რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებამ გზა და კვალი აუბნია მოკავშირეთ. ჩვენმა განცხადებამ საერთაშორისო განიარაღებისა და ოქროს მსოფლიოს მარაგის ყველაზე უფრო გაჭირვებულ სახელმწიფოთა შორის განაწილების შესახებ, იქონია დიდი გავლენა კონფერენციის მუშაობის მსვლელობაზე, ვინაიდან დიდ სახელმწიფოთა წარმომადგენლები ჩვენი ასეთი განცხადების შემდეგ არა თუ იმყოფებიან მუშათა ორგანიზაციების გავლენის ქვეშ, არამედ წვრილი ბურჟუაზიის გავლენის ქვეშაც. ხოლო პატარა სახელმწიფოები, რომელნიც წინად ყურს უგდებენ ინგლისს და საფრანგეთს, ეხლა ისმენენ საბჭოთა რუსეთის სიტყვებს. ევროპაში ნამდვილი ბაზარია. ლლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია ასეთი პასუხისმგებელ მომენტის დროს ანგარიში არ გაუწიოს ისეთ დიდ ერებს, როგორიც რუსეთი და გერმანიაა. მაქვს კითხვები: როგორი პირი უჩანს მოსავალს ამიერ-კავკასიაში? მოდის თუ არა საზღვარ-გარეთიდან საქონელი? დამთავრდა თუ არა მოლაპარაკება სპარსეთთან?

**ორახელაშვილი.** მოსავალს მთელ ამიერ-კავკასიაში კარგი პირი უჩანს, თუ აწი ხელი არ შეუშალა მას სტიქიურმა უბედურებამ. მუღანის ველის მორწყვა კარგად მიმდინარეობს. სულ მთლად დაითესება იქ 70 ათასი დესიატინა საუკეთესო მიწა. 35 ათასი დესიატინა უკვე დათესილია, მეორე 35 ათას დესიატინას ეხლა სთესენ. სათესლე მასალა საკმაოდ მოგვეპოვება. საქართველოში და დანარჩენ რესპუბლიკებშიც იმოდენი აუარებელი პროდუქტებია, რამდენიც არ ყოფილა არც მენშევიკებისა და არც მუსავატისტების დროს თბილისში თეთრი პური ღირს 12 ათასი მანეთი გირვანქა. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია სპარსეთთან გრძელდება.

**ნარიმანოვი.** მეტი საკითხები არა მაქვს. მოგელაპარაკებით კიდევ ხვალ. მოუცადეთ აპარატზე გამოწვევას.

# მენშევიკები და კონფერენცია

**ხანტა მარგარიტა**, 2 მაისი. რუსეთის პოზიციის შესასუსტებლად, ფრანგებმა იატაკ-ქვეშიდან ამოიყვანეს მენშევიკი ჟორდანია, რომელმაც ყველა დელეგაციას დაუგზავნა ნოტა თხოვნით, რომ ისინი ჩარეულიყვნენ იმ სისხლის ღვრის შესაწყვეტად, რომელიც თითქო იღვრება საქართველოში რუსის მეცხრე და მეთერთმეტე არმიისა და მეამბოხე ხალხის შორის. ამასვე მოითხოვდა სრულიად საქართველოს პატრიარქი ამბროსი, რომელიც გაიქცა მენშევიკებთან ერთად*) იტალიის მინისტრი შანცერი ამის შესახებ ბელგიის, საფრანგეთის, იაპონიის, ინგლისის, იტალიის, პოლონეთის, რუმინიის, შვეციის და შვეიცარიის ოფიციოზური თათბირის სახელით ჩიჩერინს უგზავნის წერილს თხოვნით, რომ მან მიიღოს საჭირო ზომები.

ჩიჩერინმა უპასუხა, რომ ის განზე სტოვებს საკითხს, თუ რამდენად კომპეტენტურია აღნიშნული შემადგენლობის სხდომა განიხილოს ამგვარი ხასიათის საკითხები, წამოყენებული კერძო პიროვნების ინიციატივით, რომელიც თავს უწოდებს საქართველოს ეროვნულ მთავრობის თავმჯდომარეს. ჩიჩერინი საჭიროდ სთვლის აუწყოს მათ შემდეგი: „თქვენ რასაკვირველია, იცით, რომ ევროპაში არსებობს არა მცირე უპასუხისმგებლო პიროვნებანი, განსაკუთრებით უკანასკნელი წლების გარემოებისგან ჩამოყრილ მონარქისტებისა და მთავრობის წევრთა შორის, რომლებიც თავიანთ პირადი დინასტიური ინტერესებით, ანუ პარტიული მიზნით არ უშვებენ შემთხვევას, რომ რაც ძალი და ღონე მოეპოვებათ, ხელი შეუშალონ ცოტად თუ ბევრად მტკიცე საფუძველზე მდგომ ევროპის პოლიტიკურ სიმშვიდის დამყარებას. გასაკვირი არ არის, რომ მსგავსი ცდა განსაკუთრებით ხშირდება საერთაშორისო კონფერენციების მოწვევის მომენტებში, რომელსაც მიზნათ აქვს ხალხთა შორის შეთანხმება და მათ შორის არსებული კონფლიქტების თავიდან აცილება. მაგრამ საინფორმაციო მიზნით, მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ არავითარი ამბოხება დეპეშაში ნახსენებ პროვინციებში უკანასკნელ დრომდე არა ხდება. და მაშასადამე არავითარ სამხედრო ოპერაციებს ადგილი არ შეიძლება ჰქონოდა. ბ. ჟორდანიას ცნობების სიცრუე კიდევ იმ ფაქტით მტკიცდება, რომ ეგრედ წოდებული მეცხრე და მეთერთმეტე არმია, რომელზედაც ის მიუთითებს, რუსეთში სრულიადაც არ არსებობს. არ შემიძლია ამასთანავე არ გამოვსთქვა ჩემი განცვიფრება იმის შესახებ, რომ შემდეგ იმ პასუხისა, რომელიც მიიღო რუსეთის დელეგაციამ თავის წინადადებაზე, შესახებ გენუის კონფერენციაზე კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლების მოწვევისა აღნიშვნით, რომ ეს რესპუბლიკები იმყოფებიან ევროპის გარეთ, მომწვევმა სახელმწიფოებმა შესაძლებლად დაინახეს მხედველობაში მიიღონ და განიხილონ იმ წინადადებებისა, რომელიც გადმოიდინარეობს კერძო პირიდან და შეეხება კავკასიის რესპუბლიკას საქართველოს და ამასთანავე ამ რესპუბლიკას ერთად ერთი კანონიერი საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლების დაუსწრებლად.

მიუხედავად ამისა, მე სიამოვნებით ვიგებები თქვენ მიერ ნახსენებ დელეგატების მიერ გამოჩენილ ინტერეს სისხლის ღვრის შეწყვეტის პრობლემისადმი, არა თუ ევროპის საზღვრებში, არამედ იმ ქვეყნებშიაც, რომლებიც მომწვევი სახელმწიფოების აზრით ეკუთვნიან აზიას. რუსეთის დელეგაცია საჭიროდ სთვლის აუწყოს მათ, რომ მიაქციონ სერიოზული ყურადღება არა მოჩმახულს, არამედ ნამდვილ სისხლის ღვრას, რომელსაც ადგილი აქვს, ანუ შესაძლებელია და თავიდან აუცილებელიც სხვა და სხვა მსოფლიოს ნაწილებში და იმ ზოგიერთს მიზეზებს, რომლებიც იწვევს მას. რუსეთის დელეგაციას სურდა, რომ პირველ რიგში აღენიშნა სამხედრო მოქმედება, გამოწვეული იაპონიის ნაწილის მიერ შორეულ აღმ. რესპუბლიკის ტერიტორიის ოკუპაციით.

ეს ოკუპაცია შესაძლებლად ხდიდა და აქეზებდა შორეულ აღმოსავლეთში შეიარაღებულ კონტრ-რევოლუციონური ბანდების წარმოშობას, რომელიც შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკას უნდა გაერეკა შეიარაღებული ძალით.

თვით ეხლაც კი, როცა ეს ბანდები საბოლოოდ განადგურებულია, იაპონია განაგრძობს თავის ოკუპაციას და გზავნის რა შორეულ აღმოსავლეთში თავის ჯარს, უეჭველია ამზადებს ახალ ბანდიტურ გამოსვლას და მით ხდის მიუცილებლად ახალ სისხლის ღვრას. რუსეთის დელეგაციას შემდეგ სურდა მოეგონებინა ის, რომ თვით ევროპაშიაც სხვისი ტერიტორიის სამხედრო ოკუპაციით და ეროვნული უმცირესობის უფლების ძალდატანებით გათელვისა გამო, ხდება და მომავალშიაც თავიდან აუშორებელია ამბოხება და სისხლის მღვრელი სამხედრო ოპერაციები.

საკმარისია დავასახელოთ შემდეგი ვილნოს ოლქის ოკუპაციისა პოლონელი გენერალი ჟელიგოვსკის მიერ, რომელიც ხელს უშლის თავისუფალ ნებისყოფას და თვითგამორკვევას ამ ოლქების მცხოვრებლებისას.

იგივე შეეხება აღმოსავლეთ გალიციას, რომლის წარმომადგენლებს შეეძლოთ წარედგინათ კონფერენციისათვის უფრო ავტორიტეტული და დასაბუთებული პროტესტი, ვიდრე ბ. ჟორდანიას პროტესტია. სამხ. აღმოსავ. ევროპაში რუმინელებმა ძალად დაიკავეს რა ბესარაბია, განაგრძობენ ამ პროვინციების მცხოვრებთა ჩაგვრას, სრულიად მათთვის უცხო რეჟიმის თავზე მოხვევით. იგივე ხდება სამხრეთ სლავიაში მთაშავეთის, კროაციის და მაკედონიის მიმართ. ამ გვარადვე ითელება საფრანგეთის მიერ მცხოვრებთა უფლება ევროპის ცენტრში, საარის რაიონში.

განა კიდევ საჭიროა დასახელება ყველა იმ ცნობილი ფაქტებისა, რომელსაც აქვს ანალოგიური ხასიათი და რომელსაც ადგილი აქვს ინდოეთში, ეგვიპტეში, ტუნისში, ტრიპოლიტანში, კორეაში და სხვ.

რუსეთის დელეგაციას სიჩუმით არ შეუძლია ჩაატაროს მის განკარგულებაში მყოფი დაუზუსტებელი ცნობები, შესახებ ხელშეკრულებისა, რომელიც ამ ჟამად დაიდვა ყოფილი გენერალი ვრანგელისა და რუმინიის და სამხრეთ სლავიის მთავრობის წარმომადგენლების შუა, იმ მიზნით, რომ მომზადებული იქმნას თავდასხმა უკრაინის რესპუბლიკაზე და მით გამოწვეული უსაშინლესი სისხლის მღვრელი და გამანადგურებელი სამხედრო ოპერაციები.

რუსეთის დელეგაცია სთვლის ზემო აღნიშნულ ფაქტების აღნიშვნას მით უფრო დროულად, რომ არსებული სისხლის ღვრის შეწყვეტა, ანუ გაფრთხილება ასეთისა მომავალში, სრულიად დამოკიდებულია თვით იმ ქვეყნების მდგომარეობისგან, რომელთა დელეგატებმა მოგანდვეს თქვენ მოგემართათ ჩემთვის წერილით შესახებ საქართველოში არ არსებულ აჯანყების ჩაქრობისათვის.

თავის მხრით რუსეთის დელეგაცია მზად არის მონაწილეობა მიიღოს მსჯელობა გენუას კონფერენციაზე საერთო საკითხის განხილვის დროს შესახებ იმისა, რომ მიეცეს ნამდვილი საშუალება ყველა დაჩაგრულს ხალხს თვითგამორკვევისათვის და რომ დაცული იქმნას ეროვნულ უმცირესობის ინტერესი შერეულ მცხოვრებლების ქვეყნებში.

(„იზვესტია“ № 98).

**ლ. ხოხნოვსკი.**

*) კორესპონდენტი შეცდომაშია შეყვანილი, რადგან კათალიკოსი ამბროსი საქართველოშია ამ ჟამად.

**რედ.**

# გენუას კონფერენციის გარშემო

## რუსეთის პრობლემა

### მოლაპარაკების განგრძობის შესაძლებლობა

**გენუა**, 14 მაისი. კონფერენციის მომწვევ სახელმწიფოთა და აგრეთვე შვეციის, შვეიცარიის, პოლონეთის და რუმინიის წარმომადგენლებს 13 მაისს ჰქონდათ თათბირი ფაქტის თავმჯდომარეობით. თათბირზე ირჩეოდა შექმნილი მდგომარეობა, რომელიც შედეგია რუსეთის პასუხისა მოკავშირეთა 2 მაისის მემორანდუმზე. აზრთა გაცვლა-გამოცვლიდან გამოირკვა, რომ არსებობს აზრთა სხვა და სხვაობა იმის შესახებ, შესაძლებლად მიაჩნიათ თუ არა დელეგატებს განაგრძონ მოლაპარაკება რუსეთის დელეგაციასთან. სხდომა შეწყდა, იმისათვის, რომ ხელახლავ მოიწვიონ იგი ნაშუადღევს და შეიმუშავონ შეთანხმების პირობები დელეგატთა შორის კერძო მოლაპარაკებით ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის შესახებ.

### სასტიკ საიდუმლოებაში

**გენუა**, 15 მაისი. გუშინ გაიმართა რუსეთის საკითხების შესახებ არსებულ კომისიის სხდომა. კრებას ძლიერ ცხოველი ხასიათი ჰქონდა მიუხედავად იმისა, რომ მას არ დასწრებიან არც რუსეთისა და არც გერმანიის დელეგატები. სხდომაზე გარჩეულ იქნა რუსეთის პასუხი. კომისიის თავმჯდომარემ სთხოვა დამსწრეთ სასტიკ საიდუმლოთ დაეცვათ ამ საკითხის შესახებ წარმოებული დებატები თვით საკითხის სირთულისა და შესაძლებელი შედეგების სერიოზულობის გამო. თათბირი და შექმნილი მდგომარეობის ვრცელს და აშკარა დახასიათებით. ამის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ლოიდ ჯორჯმა. რომელმაც დასასრულ წინადადება შეიტანა ამოერჩიათ კომისია სხვა და სხვა საკითხების განსახილველად. ლოიდ ჯორჯის შემდეგ ილაპარაკა ბარტუმ, რომელმაც საერთოდ მხარი დაუჭირა ლოიდ ჯორჯის წინადადებას რუსეთის საკითხის თაობაზე კომისიის დაარსების შესახებ, მაგრამ მოითხოვდა, რომ ამ კომისიაში არ ყოლოდათ წარმომადგენლები არც რუსეთისა და არც გერმანიას.

ბარტუს შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა შანცერმა, რომელმაც მიაქცია თათბირის დამსწრეთა ყურადღება რუსეთის პრობლემის გადაწყვეტის აუცილებლობას, რათა შესაძლებელი გახდეს ევროპის ეკონომიური აღდგენა. იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრმა სასურველად სცნო კომისიის დაარსების წინადადება. მისი თვალსაზრისი უახლოვდება ინგლისის თვალსაზრისს ამ საკითხში. რუმინიის დელეგატმა შეიტანა შემარიგებელი წინადადება და მოითხოვა კერძო შემთხვევებში, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს დაშვებული ყოფილიყო კომისიაში რუსეთის დელეგატებიც.

### „პროვოკატორული დოკუმენტი“.

**პარიზი.** მაისის 15-ს რუსეთის საკითხის შესახებ არსებულ კომისიის სხდომა გაიმართა შაბათს. ლოიდ-ჯორჯმა, რომელიც იხილავდა რუსეთის საკითხს უწოდა მას „პროვოკატორული დოკუმენტი. ინგლისის პრემიერმა წინადადება შეიტანა დაარსებიათ ექსპერტთა კომისია, რომელიც დეტალურად განიხილავდა ვალებისა, კერძო საკუთრებისა და კრედიტების საკითხებს. ამ კომისიამ უნდა განიხილოს აგრეთვე საკითხი რუსეთსა და სხვა სახელმწიფოთა შორის გენუაში წინასწარი ხელშეკრულების დადებისა და ურთიერთი ვალდებულებისა არ აწარმოონ სხვა მთავრობის საწინააღმდეგო აგიტაცია—პროპაგანდა. ამ სხდომაზე ბარტუმ განაცხადა, რომ რუსეთის საპასუხო ნოტის ტონი ადასტურებს წარსული წლების გამოცდილებას და შეუძლებლად ქმნის ბოლშევიკებთან მოლაპარაკების გაგრძელებას. ბარტუმ სხვათა შორის განაცხადა, რომ თუ ექსპერტების კომისიაში შევლენ საბჭოთა ექსპერტებიც, საფრანგეთი მაშინ მოკლებული იქნება შესაძლებლობას მიიღოს მონაწილეობა ხსენებულ კომისიაში. რუსეთის პასუხის კრიტიკით გამოვიდა აგრეთვე შანცერი, რომელმაც ამასთან აღნიშნა, რომ იგი მომხრეა განგრძობილ იქნეს დაწყებული საქმე.

### კონფერენციის ლიკვიდაცია.

**ბერლინი** მაისის 15-ს ჰავასის სააგენტოს ცნობით კონფერენციის მომწვევი სახელმწიფოთა წარმომადგენლები იხილავდნენ კონფერენციის ლიკვიდაციის საკითხს. დადგენილ იქნა დაარსებიათ მოკავშირე და ნეიტრალური სახელმწიფოთა ექსპერტების კომისია, რომელსაც წინადადება მიეცემა განაგრძოს რუსეთის აღდგენის საკითხის განხილვა. კომისიის მუშაობის ადგილი და დრო გასარკვეული იქნება გენუაში. როგორც სჩანს კომისია დაიწყებს მუშაობას ჰააგაში ამა წლის ივნისიდან. კომისიის მუშაობის დამთავრების შემდეგ წარდგენილი იქნება მოხსენებანი, რომელთა გაცნობის შემდეგღა დიდი სახელმწიფონი გადასწყვეტენ შესაძლებელია თუ არა მათთვის განაგრძონ მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან ფიქრობენ, რომ ყოველი სახელმწიფო დაიტოვებს თავისუფალი მოქმედების უფლებას.

### კონფერენციის დასასრული.

**ნაუენი.** მაისის 15-ს მიუხედავათ მრავალგზის მტკიცებისა, რომ კონფერენცია სასურველად იქნება დამთავრებული, შაბათს გამოირკვა, რომ კონფერენციის მუშაობა იქნება შეწყვეტილი. ბარტუმ განაცხადა, რომ საფრანგეთი იღებს რუსეთის წინადადებას კომისიის მოწყობის შესახებ,—რომელშიაც შევლენ 3 ექსპერტი,—რუსეთის საკითხის განსახილველად. ბარტუმ ამასთან ერთად განაცხადა, რომ საფრანგეთის წარმომადგენლები მხოლოდ იმ პირობით მიიღებენ მონაწილეობას პოლიტიკურ კომისიის მუშაობაში თუ იქიდან გამორიცხული იქნებიან საბჭოთა დელეგატები. მეორეს მხრივ გამოირკვა, რომ საფრანგეთი წინააღმდეგი იქნება დაუშვას ექსპერტების კომისიაში რუსის ექსპერტები—არა ბოლშევიკებიც პუანკარე წინააღმდეგია, რომ კომისიაში მონაწილეობა მიიღოს გერმანიის ექსპერტებმაც და იგი აცხადებს, რომ კომისიის მუშაობა მხოლოდ მაშინ იქნება ნაყოფიერი თუ მასში მონაწილეობას მიიღებს ამერიკაც.

### მოლაპარაკება უნაყოფოა.

**გენუა.** მაისის 15-ს პოლიტიკურ ქვეკომისიაში ბარტუმ განაცხადა: რუსებთან მოლაპარაკების გაგრძელება მას შემდეგ, რაც ხუთი კვირის განმავლობაში უსარგებლო მუშაობა სწარმოებს მათთან,—უნაყოფოდ მიმაჩნია. შანცერის სიტყვის შემდეგ, რომელიც წინააღმდეგ აზრს იცავდა კამათის გაგრძელება გადადებულ იქნა.

### შეურიგებლობა.

**გენუა.** მაისის 15-ს საფრანგეთისა და ბელგიის პრესის განწყობილება შეურიგებელია, პრესა მოითხოვს გამოწვეულ იქნეს გენუიდან საფრანგეთისა და ბელგიის დელეგაციები. ინგლისის პრესას შესაძლებლად მიაჩნია ახალი მოლაპარაკების გამართვა.

### „გაუთვალისწინებელი“ ინციდენტები.

**ნაუენი.** 15 მაისი. გაზეთი „დეილი ქრონიკლი“ იხილავს რა გენუაში შექმნილ მდგომარეობას სწერს: „კონფერენციის შედეგები უეჭველად ხელსაყრელი იქნებოდა, რომ მას წინ არ გადაღობებოდა გაუთვალისწინებელი ინციდენტები. გაზეთი ამბობს, რომ ინგლისის წინადადება მიღებული რომ ყოფილიყო, მაშინ რუსეთის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა ყოველ-შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა მანამდის. სანამ საფრანგეთი არ გამოვიდოდა იმ გამოუსვლელ მდგომარეობიდან, რომელშიაც იგი ჩააყენა პუანკარემ.

## კონფერენციის გარშემო.

### პასუხი პაპის ნოტაზე.

**გენუა.** 15 მაისი. რუსეთის დელეგაცია პაპის ნოტაზე თავის ოფიციალურ პასუხში აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობის 1918 წლის 24 იანვრის დეკრეტით უზრუნველყოფილია სინიდისის თავისუფლება და კულტის თავისუფალი აღსრულება და აგრეთვე იმ შენობებითა და საგნებით სარგებლობა, რაც აუცილებელია კულტისათვის. პიი მე-XI 14 მაისს მიიღო მონსინიორი პიცარდო, რომელიც გენუიდან დაბრუნდა და პაპას მოხსენება გაუკეთა თავის მისიის შესახებ.

**პარიზი.** 15 მაისი. რუსეთის დელეგაციის ნოტა, პაპის მემორანდუმის საპასუხოთ, აღნიშნავს, რომ ეკლესიის სახელმწიფოდან გამოყოფის დეკრეტით რუსეთში უზრუნველყოფილია სინიდისისა და სარწმუნოების თავისუფლება.

### რევოლუცია და ვალები

**ბორდო.** 15 მაისი. პროფესორმა ოლარმა გამოაქვეყნა გაზეთებში ისტორიული ხასიათის განმარტება საფრანგეთის რევოლუციისა და ვალების შესახებ. პროფესორი ოლარი ამტკიცებს რომ საბუთად მოყვანა იმისა თითქოს საფრანგეთის რევოლუციონურმა მთავრობამ, გააუქმა ვალები, უმეტეს შემთხვევაში სიმართლეს არიან მოკლებულნი ამბობენ თითქოს საფრანგეთის რევოლუციამ, ნაციონალური კონვენტის დეკრეტის გამოცემით სცნო სუვერენული ერისათვის არა სავალდებულოთ ხელშეკრულებანი, რომელიც დასდევს ჯალათებმა და იმ ვალების გადახდა, რომელიც აღებული ჰქონდა მეფეებს, რასაც აგრეთვე ემყარება ჩიჩერინი. პროფესორი ოლარი ამტკიცებს, რომ ეს შეცდომაა, ასეთ დეკრეტს, ის პროფესორი ოლარი არ იცნობს. პროფესორი ოლარი, პირიქით ამტკიცებს, რომ 1793 წელს, ე. ი. დიდი რევოლუციის ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავ დროს, საფრანგეთის მთავრობა მთელი რიგი ზომებისა მიიღო, რომელიც მიმართული იყო მეფის ვალების გადახდისაკენ „ვალების დიდი წიგნის“ მიხედვით და აგრეთვე საზოგადოებრივი ვალდებულებისა ანაზღაურებისაკენ. პროფესორი ოლარს შეუძლებლად მიაჩნია გამოურკვეველ ისტორიულ ცნობების საბუთად მოყვანა პოლიტიკური მიზნებისათვის და პროტესტს აცხადებს იმ აზრის წინააღმდეგ, თითქოს საფრანგეთის რევოლუციონერებს ეთქვათ იმ ვალდებულებებზე, რომელიც ნაკისრი ჰქონდა მეფის ოჯახობას.

### იტალია-ფინეთის ხელშეკრულება

**გენუა**, 15 მაისი. გაზეთ „მესაჯეროს“ კორესპონდენტი იტყობინება გენუიდან, რომ ამ უახლოეს ხანაში დადებულ იქნება ხელშეკრულება იტალიასა და ფინლიანდიას შორის.

### ბორის სავინკოვი

**გენუა**, 15 მაისი. მტკიცდება ცნობები იმის შესახებ, რომ იტალიის პოლიციამ დააპატიმრა ბორის სავინკოვი, რომელიც მოქმედებდა სტამბოლიდან ჩამოსულ რუსის ჟურნალისტის სახელით და რომელმაც სურვილი გამოსთქვა თვალყური [illegible] კონფერენციის მონაწილეთა შორისის [illegible] ტებისათვის.

**რომი.** 15 [illegible] დააპატიმრა ბორის სავინკოვი, რომელსაც რუსის ჟურნალისტები სტამბოლში ბრალსა სდებენ ჯაშუშობაში.

### კონფერენციის ბედ-იღბალი

**მოსკოვი**, 16 მაისი. (დასაწყისი არ არის მიღებული) ......იაპონია ზოგიერთ საკითხებში ეთანხმება ინგლისსა და იტალიას, ზოგიერთში კი მხარს უჭერს საფრანგეთსა და ბელგიას. საფრანგეთის მხარეზეა მცირე ანტანტა და ზოგიერთი ნეიტრალური სახელმწიფონი. ამ ჟამად ლაპარაკია შემდეგი საკითხის გადაწყვეტაზე უნდა შეწყდეს თუ არა მომავალ კვირაში კონფერენციის მუშაობა, როგორც ეს სურს საფრანგეთსა და ბელგიას, თუ კონფერენციის დასრულებამდის უნდა გადაწყდეს ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხები.

### გერმანიის პრესა რუსეთის პასუხის შესახებ

**ბერლინი.** 11 მაისი. გერმანიის ბურჟუაზიული პრესა გაკვირვებითა და უკმაყოფილებით შეხვდა რუსეთის პასუხს აღნიშნა რა მისი გადაჭრით—აგრესიული ხასიათი. მაგრამ გაზეთები ერთხმად აღნიშნავენ იმას, რომ ნოტა არ შეიცავს მოლაპარაკების შეწყვეტის შესაძლებლობას და არ აძლევს საფრანგეთსაც კი საშუალებას ჩაშალოს კონფერენცია.

გაზეთი „დოიჩე-ტაგესცაიტუნგი“ აღნიშნავს, რომ ნოტა დაწერილია სრული შეგნებით და ნაკარნახევია მტკიცე ნებით. რუსეთი, როგორც სუვერენული სახელმწიფო ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაუშვებს თავისუფლებათა შელახვას. საპასუხო ნოტა მთავარ მუხლებში როგორც მაგალითად კერძო საკუთრების, რუმინიასთან არსებულ განხეთქილების, პროპაგანდისა და უცხოელთა უპირატესობითი მდგომარეობის საკითხებში, იცავს საბჭოთა მთავრობის სუვერენულ უფლებებს, უპასუხებს ამაზე თითქმის აშკარა „უარით“ და კატეგორიულად მოითხოვს ყოველ საკითხში სამაგიეროს და ნამდვილ თანასწორობას მოლაპარაკების მსურველ მხარეთა შორის.

### ინგლისის პროექტი დროებითი ზავის შესახებ.

**ლონდონი.** 13 მაისი. ლონდონელი გაზეთები აქვეყნებენ ინგლისის პროექტს დროებითი ზავის შესახებ. გაზეთი „დეილი ქრონიკლ“-ის ცნობით ეს დროებითი ზავის პროექტი განსხვავდება საგარანტიო ხელშეკრულებიდან იმით რომ იგი ითვალისწინებს უმთავრესათ სამხედრო და არა პოლიტიკური ხასიათის პირობებს და ამასთან ანგარიშს უწევს არსებულ ფაქტიურ საზღვრებს. ამ პერიოდის განმავლობაში რუსეთის საკითხი გადაცემული იქნება სამი კომისიისათვის განსახილველად, რომელნიც გაინაწილებენ ერთმანეთ შორის ვალების, კრედიტების და კერძო საკუთრების საკითხის დამუშავებას. ჯერ არ არის გამორკვეული თუ როგორი პროპორციით მიიღებენ მონაწილეობას ამ კომისიებში რუსეთი და სხვა სახელმწიფოთა წარმომადგენლები, გამოურკვეველია აგრეთვე ადგილი კომისიების მუშაობისა.

ეხება რა ამ პროექტს, კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ იგი რუსეთის პასუხის ლოღიკური დასკვნაა, და ფაქტიურად ნიშნავს რუსეთის მოთხოვნილების მიღებას. გაზეთ „ვესტმინსტერ გაზეტ“-ის კორესპონდენტის აზრით, ინგლისის პროექტი მოწმობს რუსეთის დაბრუნებას ევროპის ხალხთა ოჯახში. და ეს კი საკმარისია იმისთვის, რომ კონფერენციის მუშაობა ნაყოფიერად აღვიაროთ.

### კომისია რუსეთის საკითხის შესახებ.

**პარიზი.** 13 მაისი პარასკევისათვის დანიშნული ს. დ. მ. რუსეთის საკითხის შესახებ არსებული კომისიისა, რომელზედაც უნდა განხილული ყოფილიყო რუსეთის საკითხი, გადადებულ იქნა შაბათისათვის.

### ბევრი სიტყვა-ცოტა საქმე.

**ნაუენი.** 13 მაისი. კანცლერი რობერტ ხრონი აცხადებს, რომ თემთა პალატას და საფრანგეთის მთავრობას არა აქვს განზრახვა მისცეს საბჭოთა მთავრობას კრედიტები.

### ექსპერტების კომისია.

**რომი.** 13 მაისი. გაზეთების ცნობით, ლოიდ ჯორჯმა, ბარტუმ და შანცერმა თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს, რომ მისცენ რუსეთის დელეგაციას წინადადება შეადგინონ ექსპერტების კომისია იმ საკითხების განსახილველად, რომელიც ერთგვარათ აინტერესებს რუსეთს და ანტანტის სახელმწიფოებს.

# უცხოეთი

**ამერიკა და ეგვიპტე.**

**ბერლინი, 15 მაისი.** შეერთებულმა შტატებმა იცნეს ეგვიპტის სამეფო. მეფის წინადადება დიპლომატიური და საელჩო ურთიერთობათა აღდგენის შესახებ, გადაეცა განსახილველად კონგრეს.

**საფრანგეთ-ალბანიის ურთიერთობა.**

**ბორდო, 15 მაისი.** საფრანგეთის მთავრობამ შესაძლებლად სცნო აღადგინოს ალბანეთთან დიპლომატიური ურთიერთობა, სადაც უკვე დანიშნულია რწმუნებული საფრანგეთის მთავრობისა.

**ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება.**

**ნაუენი, 15 მაისი.** ჩემბერლენმა ბირმინგამში ბანკეტის დროს, განაცხადა, რომ ფაქტია ინგლის-საფრანგეთის უთანხმოება და აზრთა სხვა და სხვაობა, მაგრამ იმედი გამოსთქვა, რომ ეს უთანხმოება ცუდ გავლენას არ მოახდენს ამ ორ სახელმწიფოთა მეგობრულ დამოკიდებულებაზე.

**გერმანია და საფრანგეთი**

**ნაუენი, 15 მაისი.** გაზეთი „დეილი-ნიუზის“ პარიზელი კორესპონდენტი გამოსთქვამს თავის აზრს, რომ მომავალი მოლაპარაკება საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენლებისა გერმანიის ფინანსთა მინისტრ გერმესთან, დაარწმუნებს საფრანგეთს იმაში, რომ გერმანია მზად არის შეასრულოს თავისი ფინანსიური ვალდებულებანი. საფრანგეთის მოღვაწეთა სიტყვით, საფრანგეთმა რომ მიიღოს გერმანიისაგან კუთვნილი ვალის ნაწილი მაინც, ყველა დანარჩენ საკითხებში საფრანგეთი ანგარიშს გაუწევდა გერმანიის სურვილებს.

**მორგანის წინადადება.**

**პარიზი, 15 მაისი.** „გაზეთ „ჩიკაგო ტრიბუნ“-ის ცნობით, მორგანი წინადადებას იძლევა გაიყვანონ რეინის რაიონიდან საოკუპაციო ჯარების უმრავლესობა, რომ ამით გერმანიას გაუადვილდეს კუთვნილი ვალების გადახდა. გარდა ამისა ნიუ-იორკის და ჩიკაგოს ბანკირებმა ათხოვეს მორგანს მოითხოვოს, რომ საფრანგეთმა და ბელგიამ უარი სთქვან გერმანიის ოკუპაციაზე იმ შემთხვევაში, თუ შეერთებული შტატები მიიღებენ თავდებობას გერმანიისათვის საერთაშორისო სესხის მიცემის საქმეში, რომლის რაოდენობაც უდრის ერთ მილიარდ მარკას (ოქროთი).

**საბჭოთა მთავრობის თანხები**

**პარიზი. 15 მაისი,** საბჭოთა მთავრობამ აღადგინა ფინანსიური ურთიერთობა ჟენევის ბანკებთან. რევილის ბანკში მან შეიტანა მნიშვნელოვანი თანხა.

**გერმანელი მუშები რუსეთში**

**ბორდო. 15 მაისი,** გერმანელ მუშათა ჯგუფი ჩავიდა რუსეთში; მათ განზრახვა აქვთ მონაწილეობა მიიღონ პეტერბურგის რაიონში პსკოვისა და ნარვის გზაზე ზოგიერთი რკ. გზის ხაზის აღდგენაში.

# საბჭოთა რუსეთში

**სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასკომის მესამე სესია.**

**მოსკოვი. 16 მაისი,** 15 მაისის სხდომაზე გაიმართა კამათი კრილენკოსა და ბრანდენბურგსკის მოხსენებათა შესახებ,

— კრილენკოს მოხსენების გამო, სისხლის სამართლის კოდექსის შესახებ, პროვინციის წარმომადგენლებმა გაილაშქრეს პროკურატორის წინააღმდეგ, რომელსაც როგორც ზემოდან დანიშნულს და ადგილობრივ ცხოვრებასთან გაუცნობელს, შეუძლია გამოიწვიოს ხელის უფლების დაყოფა, რასაც შედეგად მოჰყვება გაუგებრობა და არევ დარევა.

სკრიპკინი ლაპარაკობდა ადვოკატურის წინააღმდეგ, რომელსაც შეუძლია შექმნას განსაკუთრებული კორპორაცია რომელიც იღებს სახელმწიფო ხელისუფლებიდან პოლიტიკურ უფლებათა ნაწილს. ასეთი დათმობა კი ორატორის აზრით, ყოვლად შეუძლებელია.

დამცველთა კოლეგია უნდა შექმნათ, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა დაუქვემდებაროთ სახელმწიფო ხელისუფლების კონტროლს.

პროექტის დასაცავად, სიტყვა აიღო ამხ. კალინინმა. მისი აზრით, საპროკურორო ზედამხედველობა მაშინ უფრო ნამდვილი იქნება თუ იგი არ დაექვემდებარება ადგილობრივ ხელისუფლებას. საგუბერნიო პროკურორი ცენტრის თვალია. რომელიც თვალყურს ადევნებს ადგილობრივ საბჭოთა კანონების ასრულებას. მან თვალ-ყური უნდა ადევნოს რევოლიუციონურ კანონიერებას, ე. ი. უნდა გააკეთოს ის, რასაც თავის დროზე აკეთებდა წითელი არმია და განსაკუთრებული კომისია („ჩეკა“).

ბრანდენბურგსკიმ საბოლოო სიტყვაში აღნიშნა, რომ ადვოკატურის მთელი მოქმედება იწარმოებს საბჭოთა ხელისუფლების ზედამხედველობის ქვეშ. დამცველთა კოლეგიის პირველ შედგენილობას ადგენს იუსტიციის ადგილობრივი განყოფილება და მას ამტკიცებს საგუბერნიო აღმასკომი.

და სწორედ ამაში უნდა ვხედავდეთ ადვოკატურის მოქმედებაზე კონტროლის გარანტიას.

# ახალი ამბები

— **საქართველოს ნავთსადგურებში.** ბათომში 6 და 7 მაისს მოვიდა: საბერძნეთის გემი „ნიკოლოს—კონსტანტინ“ 1000 ტონი საქონლით და 4 მგზავრით სტამბოლიდან, 1 მოტორი და 7 იალქნიანი 483 ფ. ოსმალეთის ნაპირებიდან და 2 მოტორი 191 ფ. და 38 მგზავრით შავი ზღვის ნაპირებიდან. იმავე დღეებში გავიდა: გემები—ინგლისური „შეფფილდი“ სტამბოლში 5 ტონი სხვა და სხვა საქონლით და 20 მგზავრით და რუსული „ილიჩი“ ოდესაში 18950 ფ. სხვა და სხვა საქონლით და 300 მგზავრით და „ფელიკს დზერჟინსკი“ ზუნგულდში 570 მგზავრით, 2 მოტორი და 3 იალქნიანი—472 ფ. საქონლით—ოსმალეთის სანაპიროებიდან და 4 მოტორი 5680 ფ. საქონლით და 27 მგზავრით შავი ზღვის სანაპიროებისკენ. ფოთის ნავთსადგურში მოვიდა 10 მაისს რუსული გემი „პესტელი“ სოხუმიდან 100 ფ. საქონლით და 78 მგზავრით; 11 მაისს —კატერი „მეოტინი“ ბარჟა № 54-ით ოჩემჩირიდან 4700 ფუთით და 6 მგზავრით და 12 მაისს რუსული კატერი „რცი“ ბათომიდან 30 ტომარა ფქვილით და 3 მგზავრით.

— **ტფილისის ელექტროფიკაციისთვის.** ტფილისის აღმასკომის მიერ დანიშნულ სპეციალისტების კომისია ჰიდროელექტრონის სადგურის ასაგებ პროექტის და ინჟ. ვანაძის პროექტის განსახილველად,—14 მაისს გაემგზავრა მდ. არაგვისაკენ მცხეთაში მტკვრისა და არაგვის და ავჭალის წყალსადენის დასათვალიერებლად.

— **სეტყვა.** 11 მაისს სეტყვის მიერ განადგურებულია 10% ხილის მოსავლისა საბურთალოში, ხოლო ვერასა და დიდუბეში 15—20%.

— **მოსავლის აკრეფა.** საჯარო ვაჭრობა ორთაჭალის მამულში ხილის ნაყოფის ასაკრეფად იჯარით გაცემისთვის არ შესდგა.

— **დამშეულთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარისგან.** ჩემამდი მოღწეული ცნობების მიხედვით, ჩემი სახელით სხვა და სხვა ორგანიზაციები და აგრეთვე პირები, აწარმოებენ საქართ. დამშეულთა სასარგებლოდ შემოწირულებათა შეკრებას. ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ცხადდება, რომ წერილობით ნებართვის გარეშე საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტისაგან, არავის არა აქვს უფლება აწარმოოს რაიმე შეკრება აღნიშნული მიზნისთვის. დამნაშავენი მიიცემიან სასტიკ პასუხისგებაში. საქართ. დამშეულთა დამხმარე მთავ. კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

— **უარყოფითი მოვლენა.** სათესი კომპანია უახლოვდება ისეთს მომენტს, როცა ხალხის მისწრაფება რომ დათესილი იქნას რაც შეიძლება მეტი ადგილები იღებულობს უარყოფითი ხასიათს. მაგ. თელავის და სიღნაღის მაზრებში სჭრიან ვენახებს პურის დასათესად, რომელიც მეურნეობისათვის წარმოადგენს რეგრესიულ მოვლენას.

— **კარგი მოსავალი იქნება.** სიღნაღის მაზრაში მოსავალს კარგი პირი უჩანს, პურის და ქერის მოსავალს დიდს მოელიან. წელს მაზრაში დათესილია ისეთი ფართო მიდამოები, რომელიც არასოდეს ამდენი არ ითესებოდა. ყურძნისა და ხილის მოსავალი კარგი იქნება.

სამწუხაროთ უკანასკნელი დროის სეტყვამ იმდენით გააფუჭა ზოგიერთს ადგილებში ნათესი, რომ საჭიროა ხელახალი დახვნა მიწის და დათესვა. თუ თავის დროზე გაგზავნილი იქნება სათესი სიმინდი. ამ ადგილებისათვის საქმის გამოსწორება კიდევ შესაძლებელია.

— **საუბარი ამხ. მიქაბერიძესთან.** ეხლახან დაბრუნდა ტფილისში რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორი ამხ. პ. ი. მიქაბერიძე სახალ. საშინაო საქმეთა კომისრის ამხ. საშა გეგეჭკორის მონდობილობით ბათომში წასული იმ მიზნით, რომ გაეცნო რკ. გზის მილიციის მოქმედება ტფილისიდან ბათომამდე, და აგრეთვე ქალაქ ბათომის და საზღვაო მილიციისა და ცეცხლის მქრობელ რაზმისა. ამხ. მიქაბერიძემ დაათვალიერა ყველა სარაიონო მმართველობა რკ. გზის მილიციის ტფილის-ბათომის ხაზზე. ბათომში ამხ. მიქაბერიძემ მოახდინა თათბირი სარაიონო მილიციის ყველა მოსამსახურეთა შესახებ. პირადი შემადგენლობის გასაახლებელ საკითხისა რკ. გზის მილიციაში იმ მიზნით, რომ განდევნილი იქმნას მილიციის შემადგენლობიდან ის პირნი, რომელნიც წარსულში მიცემული იყვნენ სისხლის სამართალში, [illegible] სათვის, მექრთამეობისათვის და სხვა.

საქონლის სადგურის ანტისანიტარულ მდგომარეობისა გამო ამხ. მიქაბერიძემ შეადგინა სანიტარული კომისია რკ. გზის სადგურების დასათვალიერებლად და რომ აღმოჩენილ დეფექტებისა გამო შედგენილი იქმნას აქტი 7 დღის განმავლობაში.

ცეცხლის-მქრობელი რაზმი ბათომში თავის ღირსების სიმაღლეზე მდგარი აღმოჩნდა.

ზღვის ნაპირზე არა სანიტარულ მდგომარეობისა გამო ამხ. მიქაბერიძემ შეადგინა სანიტარული კომისია ზემო აღნიშნული ინსტრუქციით.

ტფილისის სადგური და მასთან მდებარე ტერიტორია მოყვანილია სრულ წესრიგში რკ. გზის მილიციის გარეგნული სამხედრო მოწესრიგებულია და აგრეთვე მიღებული ზომები უბედურ შემთხვევის თავიდან ასაცილებლად მატარებლის გასვლისა და შემოსვლის დროს. ამხ. მიქაბერიძის მოხსენებასთან დაკავშირებით საშინაო საქმეთა კომისარიატს აღნიშნული აქვს მოახდინოს მთელი წყება ცვლილება რკ. გზის მილიციის პირად შემადგენლობაში როგორც უფროსი და მდაბალი მოსამსახურეებისა.

— **შიმშილი საქართველოში.** მახლობელ აღმოსავლეთში ამერიკულ დამხმარე კომიტეტმა საქართველოს დამხმარე კომიტეტმა საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ შესწირა 1000 ტონი სიმინდის ღერღილი, რომელსაც ადგილობრივად ამერიკულ კომიტეტის წარმომადგენლის თანდასწრებით დაარიგებს საქართველოს დამშეულთა დამხმარე ცენტრალური კომიტეტი.

— **გორის მაზრაში.** სიმშილი მაზრაში თან და თან ძლიერდება. განსაკუთრებით სიმშილობს მტკვრისა და ლიახვის რაიონები. ატოცის, რუისის, დირბის, შინდისის, მორის და კნოლის, ამ რაიონებში სიმშილი ისეთს მწვავე ხასიათს ღებულობს, რომ მცხოვრებლები იძულებულია თითქმის უფასოთ გაყიდონ თავიანთი საჩხენელი საქონელი. მაგ. ძროხა ჰყიდიან ფუთნახევარ სიმინდზე. გადაუჭარბებლათ შეიძლება ითქვას, რომ ყველა მცხოვრებლები დამშეულია. დამშეული გლეხები ყველგან დაეძებენ პურს. თხრიან მიწას და მის ქვეშ ეძებენ გადამალულ პურს და სიმინდს.

— **სათესი მასალის განაწილება.** მინდვრის სათეს ცენტრალ. კომიტეტმა შეუდგა დამატებითი მიღებულ 40 ვაგონი სიმინდისას, რომლიდანაც დაგზავნილია შემდეგ მაზრებში; თელავი—3 ვაგონი. ბორჩალოს—4. ახალქალაქის—3. ახალციხის—1. გორის—8. სიღნაღის—4 დუშეთის—3, რაჭის—2. შორაპნის—6. ლეჩხუმის—3 და ოზურგეთის—3.

— **სახალ. საშინაო საქმეთა კომისარიატის რეორგანიზაცია.** სახალ. საშ. საქ. კომისარიატი შესდგება შემდეგი წარმომადგენლებისაგან სახალ. კომისარი ამხ. საშა გეგეჭკორი, და მისი მოადგილე ამხ. ი. ტალახაძე. საქმის მმართველი ამხ. დ. ჩიქოვანი. და 8 განყოფილებანი: კომუნალური გამგე ა. 8 სიდამონიშვილი, მილიციის ამხ. გერასიმე ქავთარაძე, საინფორმაციო ინსტრუქტორი შოთა დადიანი ფინ. განყოფილების—ჟღენტი და სხვ. ამ რეორგანიზაციასთან დაკავშირებით ხდება შტატების შემოკლება 50 პროც.

— **ფოთი.** ფოთის ნავთსადგურიდან გავიდა ინგლისის გემი „დენიმროვ ჩარლტონი“ 1363 ტონი ჭიათურის მარგანეცით დატვირთული.

— **ქამის წინააღმდეგ ბრძოლა.** ქამის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, ხდება სხვილი საქონლის აცრა და ფრიად წარმატებითაც. მთელ რესპუბლიკაში დღემდე აუცრეს 13,000 საქონელს.

— **სიღნაღის მაზრა.** სიღნაღის მაზრის აგრონომი ამხ. სამადაშვილი ტელეგრამით აუწყებს სათეს კომისიას, რომ უკანასკნელ დროს სეტყვამ ძლიერ დააზარალა ლაგოდეხის და კოდოლის რაიონი. რომლისათვის საჭიროა ხელმეორედ დათესვა, რისთვისაც სამადაშვილი თხოულობს, რომ დროზე იქმნას გაგზავნილი სათესი სიმინდი. სათეს ცენტრმა, თანხმად ამ ტელეგრამისა, გაგზავნა ერთი ვაგონი სიმინდი 1000 ფუთი მულაანში და 3 ვაგონი წნორის-წყალში.

— **ტფილისის ბირჟა.** უცხო ვალიუტის კურსი მაისის 15—16-ს (ათამანეთობით):

| | |
|---|---|
| ოსმალური ლირა ოქრო | 850 |
| ოსმალური ლირა ქაღალდის | 170 |
| სტერლინგი | 975 |

# სამხატვრო ქრონიკა

— **ეფემია მესხის იუბილეს გადადება.** ეფემია მესხის იუბილე, მოუმზადებლობის გამო, გადაიდო შემდეგისთვის. განზრახულია შემდეგში იუბილეს მიეცეს გრანდიოზული ხასიათი.

— **„ჰამლეტ“-ის გადადება.** მუშათა და წითელარმიელთა ტფ. ქალაქის საბჭოს პლენუმის საგანგებო სხდომის გამო, ვახტანგ გარრიკის წარმოდგენა „ჰამლეტ“-ი გადაიდო ოთხშაბათისთვის 17 მაისს. აღებული ბილეთები გამოდგება ამ წარმოდგენაზე.

— **ზაქარია ჭიჭინაძის იუბილე.** კვირას, დილით მაისის 21-ს სახელმწიფო ოპერის თეატრში ს. ს. მწერალთა კავშირის საბჭო იუბილეს უმართავს დამსახურებულ მწიგნობარ ზაქარია ჭიჭინაძეს.

— **ლეკის ქალი გულჯავარ.** ასიკო ცაგარლის ისტორიულ დრამა „ლეკის ქალი გულჯავარ“, საიდანაც დოლიძემ აიღო სიუჟეტი თავის ახალი ოპერა „ლეილასთვის“ ამ დღეებში წარმოდგენილი იქნება რუსთაველის თეატრში.

— **სალამო ნაძალადევში.** ნაძალადევის თეატრში მაისის 21-ს კვირას გაიმართება დიდი სალიტერატურო სალამო, პოეტის გრიშაშვილის, მსახიობ ვასო აბაშიძის და გოცირიძის, მომღერლებ სარაჯიშვილის და ინაშვილის მონაწილეობით.

— **„ლეილა“.** ოპერა „ლეილა“, დაიდგა მესამედ. ხალხი აუარებელი დაესწრო. აღსანიშნავია ბარონკინას ქალი, რომელსაც ემჩნეოდა მუშაობა ქართული სიტყვების საუცხოვოდ გამოთქმისათვის და როლის შეგნებით ჩატარებაში. ამ წარმოდგენაზე მოხსნილ იქმნა აპოთეოზი.

— **ლიტერატურული ხუთშაბათი.** გაზაფხულის არდადეგების გამო, ლიტერატურული ხუთშაბათები გაიმართება პირველ ივნისიდან.

— **ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „ულელტეხილი“.** 25 მაისს, გამოვა ყოველთვიური სალიტერატურო ჟურნალი „ულელტეხილი“, შემდეგი შინაარსით: 1) მანიფესტი, 2) წერილები, 3) რაჟდენ გვეტაძე—„შვილო ქეთევან“. „წიგნიდან ვირები“—ვირები მარხილში, ვირის კბილი, ვირი და კინტო. „წიგნიდან კახპები“—ბრუნდი სარკე. 4) გრიგოლ ცეცხლაძე—ზარმაცი ტფილისელი, კაფეში, ბრინჯაოს ჩრდილები, ავტოპორტრეტი, ავი სიზმრები. 5) „ბიბლიოგრაფია“: ორი გაზეთი „პოეზიის დღე“. 6) თეატრი, 7) ქრონიკა.

— **სრულიად საქართ. მწერალთა საბჭოს მოწოდება ქართველ ახალგაზრდობისადმი, ზაქარია ჭიჭინაძის იუბილეის შესახებ.** სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო მოუწოდებს ქართველ ახალგაზრდობას დახმარება გაუწიოს საბჭოს—დამსახურებული მწიგნობრის, ზაქარია ჭიჭინაძის იუბილეის გამართვის საქმეში. იუბილეი იმართება სახ. ოპერის თეატრში კვირას. მაისის 21-ს, შუადღის 12 საათზე. იმ ახალგაზრდებს, რომელთაც სურვილი აქვთ რაიმე დახმარება აღმოუჩინონ საბჭოს ამ საქმეში, ვთხოვთ მობრძანდნენ დღეს, ოთხშაბათს მაისის 17-ს, ნაშუადღევის 5 საათზე ხელოვნების სასახლეში, სერგიევის ქ. № 13 ტეხნიკური კომისიის თათბირზე.

— **ქართველ მსახიობთა ყრილობა.** კვირას, მაისის 7-ს რუსთაველის თეატრში გაიხსნა სრულიად საქართველოს ქართველ მსახიობთა ყრილობა, რომელსაც დაესწრნენ, როგორც ტფილისში მყოფნი, ისე საგანგებოდ პროვინციებიდან ჩამოსული მსახიობნი. ყრილობა გახსნა ალექსანდრე იმედაშვილმა. ყრილობის მომწვევ საინიციატივო ჯგუფის სახელით ვიაჩესლავ ჯიქია პრეზიდიუმის წევრებად ასახელებს: თავმჯდომარედ ვალ. გუნიას, თავჯდომარის ამხანაგად კონ. ანდრონიკაშვილს, ხოლო მდივნად ალ. მგალობლიშვილს. ყრილობა ფეხზე ადგომით პატივსა სცემს ვლ. მესხიშვილის, ს. სვიმონიძის, კ. ყიფიანის, ბ. ახოსპირელის და კ. შათირიშვილის ხსოვნას.

ქართველ მსახიობის და ჩვენი თეატრის მდგომარეობაზე მოხსენებებით გამოდიან ალ. ახმეტელი და ალ. იმედაშვილი. წესდების გადასინჯვის შემდეგ მიღებულ და დამტკიცებულ იქნა ახალი წევრები. დასასრულ მოხდა ხელმძღვანელ ორგანოების არჩევნები.

მსახიობთა კავშირის გამგეობაში არჩეულ არიან: ალ. იმედაშვილი (თავმჯდომარედ), ალ. მგალობლიშვილი, ალ. ბადრიძე, აკაკი ფალავა, ვიაჩესლავ ჯიქია და აკაკი ვასაძე.

სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ დ. ჩხეიძე, ს. აზლედიანი და სან. გაჩეჩილაძე.

# ბიულეტენი საქ. სახ. კომისართა საბჭოს საინფორმაციო განყოფილების

**სახალხო კომისართა საბჭოში.**

**ნავთსადგურების საწყობებით სარგებლობა.** სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადასტურებულ იქნა საქართველოს რევკომის დადგენილება № 99. ნავთსადგურების ტერიტორიაზე არსებულ საწყობებით სარგებლობის წესის შესახებ. საზღვაო ტრანსპორტის და რკინის გზის სამმართველოების ურთიერთ შორის საქართველოს ნავთსადგურების ტერიტორიაზე არსებული საწყობებით სარგებლობის წესის საკითხის მოსაგვარებლად დაარსდა განსაკუთრებული კომისია სახალხო კომისართა საბჭოს წარმომადგენლობის თავმჯდომარეობით, რომელშიაც შედიან აღნიშნულ სამმართველოების წარმომადგენლები.

**მალარიასთან ბრძოლა.** საბურთალოში მალარიის ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად წინადადება მიეცა გაერთიანებულ საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მისცეს ტფილისის ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტს ორასი კილო ხინინი ღირებულების ნაწილობრივ გადახდით.

**ფულის განაწილების წესი.** დამტკიცებულ იქნა ფინანსთა სახალხო კომისარიატის დადგენილება სახალხო კომისარიატების შორის ემისიის ფულის ნიშნების განაწილების წესის შესახებ.

**საქ. ცენტ. აღმასკომში.**

**დეკრეტი ნატურალური ხარკის შესახებ.** საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ იქნა პროექტი დეკრეტისა ნატურალური ხარკის კრეფის შესახებ. დეკრეტით—სასურსათო ხარკის ყოველ გადამხდელს უფლება ეძლევა თუ მოისურვებს გადაიხადოს მასზე გაწერილი სასურსათო გადასახადის ნაცვლად ფულადი ეკვივალენტი.

**დახმარება ზვავისაგან დაზარალებულთ.** ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა დაავალა შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატს სასწრაფოთ გამოარკვიოს ზვავისაგან დაზარალებულთა ლეჩხუმის მაზრის მცხოვრებთათვის დახმარების აღმოსაჩენად საჭირო თანხის რაოდენობას მასვე წინადადება მიეცა მოაწყოს გეოლოგ-სპეციალისტების კომისია რესპუბლიკის იმ რაიონების გამოსარკვევად, სადაც მოსალოდნელია ზვავის ჩამოწოლა.

**საეკლესიო განძეულობის ჩამომრთმევი კომისია.** დაინიშნა საეკლესიო განძეულობის ჩამომრთმევი კომისია, რომელშიაც შედიან: ამხ. თოდრია, ჯორბენაძე და კასიანი. კომისიის თავმჯდომარეობა დაევალა ამხ. თოდრიას.

**დახმარება მწერლებს.** საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მიეცეს მწერალ ქალს ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას და მის მეუღლეს დუტუ მეგრელს დახმარების სახით 10.000.000 მანეთი.

**ოზურგეთის რკინის გზის გაყვანა.** მაისის პირველ რიცხვებში ტფილისში ჩამოვიდა ოზურგეთის აღმასრულებელი კომიტეტის რწმუნებული ამხ. სარჯველაძე, რომელსაც დავალებული ჰქონდა ხელახლად დაესვა ცენტრალურ მთავრობაში საკითხი სადგურ ნატანებიდან ოზურგეთამდე რკინის გზის გაყვანის შესახებ. ამხ. სარჯველაძემ ჩამოსვლისთანავე ინახულა საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეები და გააცნო მათ საქმის მდგომარეობა, რის შემდეგ მოწვეული იქნა აღნიშნულ პირთა თათბირი სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მონაწილეობით. თათბირმა აუცილებელ საჭიროდ სცნო აღნიშნული რკინის გზის გაყვანა და თავის მხრით შეადგინა კომისია სპეციალისტებისაგან იმის გამოსარკვევად, თუ რომელ სადგურიდან უკეთესი და სასარგებლო იქნებოდა რკინის გზის შტოს გაყვანა: სადგ. სუფსიდან თუ ნატანებიდან, კომისიამ რომელშიაც მიწვეულ იქნა აგრეთვე რკინის გზის საქმის კარგად მცოდნე ინჟინერი თუმანოვი, ინახულა რა მრავალი საბუთები ამ საქმის შესახებ, მოიწონა პროექტი სადგ. ნატანებიდან რკინის გზის გაყვანის შესახებ. ამის შემდეგ, ეს საკითხი დაისვა სახალხო კომისართა საბჭოში. სახალხო კომისართა საბჭომაც სასურველად სცნო ოზურგეთის რკინის გზის გაყვანა, მხოლოდ საკითხის დეტალურად და ყოველმხრივ განსახილველად შედგენილ იქმნა სპეციალური კომისია ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით. კომისიის სხდომა მოხდა 10 მაისს. სხდომას დაესწრო აგრეთვე ამიერ კავკასიის რკინის გზის წარმომადგენელი. კომისიამ საკითხის ყოველ მხრივ განხილვის შემდეგ, დაადგინა: ამ თავითვე გაყვანილ იქმნეს სადგურ ნატანებიდან ოზურგეთამდე ფართო ლიანდაგიანი რკინის გზა, რკინის გზისათვის საჭირო ხე-ტყის მასალის დამზადება ეხლავე იქნა დაწყებული, რისთვისაც წინადადება მიეცეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს დაუთმოს ოზურგეთის აღმასრულებელ კომიტეტს ამ რაიონთან ახლო მდებარე ტყის ნაკვეთი, სამუშაოთ უნდა გამოწვეულ იქმნან ადგილობრივ მცხოვრებნი. რაც შეეხება საჭირო რელსებს, ამის შესახებ აღძრულ იქნა შუამდგომლობა რკინის გზის ოლქის წინაშე, რისთვისაც მიენდოს ამიერ კავკასიის რკინის გზის წარმომადგენელს ამხ. აბრამოვს წარსდგეს ოლქის წინაშე სათანადო მოხსენებით. მასვე დაევალა აგრეთვე დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვის შედგენა. კომისიამ საჭიროდ სცნო მოიწვიოს ამ საქმეში ინჟინერ ი. თუმანოვი. კომისიის დადგენილება ამ დღეებში გადაეცემა სახალხო კომისართა საბჭოს საბოლოოდ დასამტკიცებლად.

**სენაკის მაზრაში.**

**ადგილობრივ გადასახადი.** მაზრაში არჩეულ იქნა ადგილობრივ გადასახადების ამკრეფი კომისია, რომელშიაც შედის გადამხდელთა წარმომადგენელიც.

**სასურსათო გადასახადისაგან განთავისუფლება.** სახალხო სასურსათო კომისარიატის მიერ განთავისუფლებულ იქნა სრულიად სასურსათო გადასახადისაგან ქოლობნის თემი.

# მოწერილი ამბები

**გურია განახლდება!** ვინც გურიის თანამედროვე ცხოვრების აღწერას შეუდგება, მან კარგად უნდა იცოდეს, თუ რას წარმოადგენდა გურია წარსულში და როგორი თვალით უყურებდენ გურულები მენშევიკების ბატონობას. გურია ყოველთვის თავგანწირული მებრძოლი იყო თვითმპყრობელობისა წინააღმდეგ. მეფის ჩამოგდების შემდეგ, გურულების უდიდესი ნაწილი მიემხრო მენშევიკურ მთავრობას, მხოლოდ შეგნებული ნაწილი გრძნობდა, რომ საქართველო და მასთან ერთად გურიაც, იმყოფებოდა ბურჟუაზიულ რეაქციონურ კლანჭებში; გრძნობდა, რომ მენშევიკური მთავრობა მიაქანებდა მშრომელ ხალხს არა ბედნიერებისაკენ, არამედ დაღუპვისაკენ. გრძნობდა ამას თუმცა მცირე, მაგრამ საკმაოდ შეგნებული ნაწილი და აწარმოებდა თავგანწირულ ბრძოლას ყოფილ მთავრობის წინააღმდეგ; ზოგიერთი მათგანი კიდევაც შეეწირა მსხვერპლად ამ დიდებულმა ბრძოლამ...

თითქმის ვერ შეხვდებით გურიაში ისეთ კაცს, რომ მის გულში არ გუზიზებდეს რევოლიუც. ცეცხლი და სოციალისტური რწმენა. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას გურულების უმრავლესობა შურის თვალით უყურებდა პირველ დღეებში. ყოველ დღე მენშევიკური მთავრობის დაბრუნების მოლოდინში იყვნენ. მათ საბჭოთა მთავრობა რაღაც საშინელებად წარმოედგინათ. გავიდა ხანი. გურულები თანდათან დარწმუნდნენ საბჭოთა მთავრობის კეთილ საქმიანობაში; და დღეს ყველა გურული ნათლად ხედავს, თუ რა იყო მენშევიკური მთავრობა, რა იყო მისი ფარული ზრახვები, რა არის საბჭოთა მთავრობა და რამდენად სურს მას მშრომელი ხალხის ბედნიერება. ამ შედარებით ყოველი გურული ლოღიკურ დასკვნამდე მიდის და მასში სავსებით გამქრალია ის მოლოდინი და ზიზღი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ დღეებში; დღეს გურია უპირველეს დარაჯია დიდი რევოლიუციისა და ამ რევოლიუციით მონაპოვარ თავისუფლებისა. იზრდება ზიზღი მენშევიკურ მთავრობისადმი; მენშევიკური მთავრობის მოგონება, დღეს გურულებისთვის რეაქციის მოგონებაა.

ამ მხრით გურია განახლებულია. მის ცაზე იცინის თავისუფლების მზე; მის არე-მარეში აღმართულია სისხლის ფერი დროშა რუსეთის დიდი რევოლიუციისა. და ეს ყველა ხდება შეგნებით. აღსანიშნავია რომ გურიაში დღესაც მოიძებნება, რა თქმა უნდა, თითო ოროლა ისეთები, რომლებიც მოწამლულნი არიან ყოფილი მთავრობის მიერ. დაძრწიან ეს ვაჟბატონები და ათასნაირ ჭორებს ავრცელებენ საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ. ისინი სარგებლობენ გენუის კონფერენციით და ყურს უჭედავენ გურულ გლეხს ვითომც მარცხდებოდეს რუსეთის დიდი რევოლიუცია; ვითომ ლენინი გაქცეულიყოს და სხვა. ეს ხდება მაშინ, როცა ევროპის ბურჟუაზიას აფრთხობს რუსეთის წითელი ჯარის შიში, როცა ბურჟუაზიას არ შესწევს ძალა აწარმოვოს ბრძოლა რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ. ამიტომაც არის, რომ ამ მეჭორე ვაჟბატონების წინააღმდეგ სათანადო ზომებია მიღებული.

გურულმა გლეხმა იცის ყველაფერი, იცის რომ ეს ჭორებია და ჩუმად ეცინება ამ ვაჟბატონების ლაჩრულ ბრძოლაზე. გურული გლეხი დარწმუნებულია რომ საბჭოთა მთავრობა იმარჯვებს; დარწმუნებულია რომ საბჭოთა მთავრობა იბრძვის მშრომელი ხალხის საბედნიეროდ და ამ რწმენას ველარაფერი ამოშლის მის სპეტაკ გულიდან!

საერთო უბედურებას ვერც გურია გადაურჩა.

ვინ არ იცის გასული წლის ხვაპრული მოუსავლობა, რამაც დაამშია მთელი საქართველო და მასთან ერთად გურიაც. დამშეულია გურიის აღმოსავლეთი ნაწილი. სადაც გულის-დამთუთქველ სურათებს ვხედავთ. ხშირად შეხვდებით სახე გაფითრებულ, ღონე მიხდილ დედას, რომელსაც ახლავს ნახევრად შიშველი ოთხი-ხუთი წლის ყმაწვილი და რომლებიც მიემგზავრებიან სუფსა-ნატანებისაკენ, იმ იმედით, რომ იქნებ იგი სურსათის მქონე გულ-კეთილმა კაცმა შეიბრალოს და უდროოდ გაბედურებულებს თითო ლუკმა მჭადი აჭამოს. ოჯახის დატოვება და ლუკმა პურისათვის სხვა მხრისაკენ გამგზავრება ხშირია, რაიცა ჩრდილს ფენს რევოლიუციით მონაპოვარ აღფრთოვანებასა და სიხარულს! დამწუხრება გურული ხალხისა, ეკონომიური გადატაკება და კულტურული მუშაობის შეფერხება სიმშილის მეტს არაფერს მიეწერება.

სამშობლო ტკბილია. ქართველ კაცს უყვარს სამშობლო. ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. გურულ გლეხს უცემს რევოლიუციონური გული და სწამს რევოლიუცია; მან მტრობაც იცის და მეგობრობაც, იცის მეგობრის დახმარებაც გაჭირვების დროს. ამიტომ არის რომ ყველა გურული ცდილობს დამშეულის დახმარებას; გურული ხალხი დარაზმულია სიმშილის წინააღმდეგ. გურულები ცდილობენ ერთმანეთის დახსნას უბედურებისაგან და ამით ჩვენ ვიტყვით და ჭეშმარიტი თქმაც იქნება, რომ გურია თითქმის უმსხვერპლოდ გადაიტანს სიმშილს... ამის იმედები ჩანს.

მე მინდოდა ამ წერილით ამეწერა თანამედროვე გურიის ცხოვრება და აღმენიშნა თუ რა დონეზე სდგას მისი კულტურული დაწესებულებანი. მე დავასახელებ სასწავლებელს, რომელიც გურულებს ძლიერ უყვარს და რომელიც არც ერთ საქართველოს კუთხეში არ არის ის გავრცელებული, როგორც ეს გურიაში. გურულმა გლეხმა დროზე შეიგნო რომ უსწავლელი კაცი სუსტია ცხოვრებაში. იშვიათად შეხვდებით მთელს გურიაში ისეთ მოზარდს—რომ არ სწავლობდეს.

ცხადია, მთავრობა დღეს მასწავლებლებს ვერ აკმაყოფილებს, მაგრამ აღსანიშნავია, რომ პროვინციებში სწავლა უკეთ მიმდინარეობს, ვინემ ქალაქებში. ეს მასწავლებლების შეგნებასა და სულგრძელობას უნდა მიეწეროს.

დანარჩენ დაწესებულებებზე ჯერ არაფერს ვამბობ.

გურიის გლეხობა, მცოდნე რევოლიუციის ქარიშხლის სისასტიკის, თავისი დაუღალავი შრომით განახლების დიდ იმედებს იძლევა. მე იმედი მაქვს ამ განახლების.

დიახ, გურია განახლდება! მალე, სულ მალე თქვენს წინაშე გადიშლება, თვალწარმტაცი სურათი სავსებით განახლებული გურიისა!.

დ. ჟვანიშვილი.

# პარტიული ცხოვრება

**ხ. იახულა.** (სენ. მაზრა) ამ უკანასკნელ თვეებში პარტიული მუშაობა მინელდა. მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ხვნა-თესვის კამპანიამ მოსწყვიტა მუშა გლეხკაცობა თავისუფალ დროს, პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარეობას. სისტემატიურ კრებებს, საუბრებს, აზრთა გაცვლა-გამოცვლას ამ მიზეზით არ ჰქონია ადგილი მთელი აპრილის განმავლობაში. მხოლოდ მიმდინარე თვის პირველ რიცხვებში გამოცოცხლდა მუშაობა ამხ. გ. მუშიშვილის ტფილისიდან ჩამოსვლით, პარასკევს მაისის 5-ს მოწვეულ იქმნა მასიური კრება, რომელზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. გ. მუშიშვილმა მომენტსა და მიწის საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ ამინდი ძლიერ ცუდი იყო და არ უწყობდა ხელს კრების სასურველად ჩატარებას, ხალხი მაინც ბლომად დაესწრო და კმაყოფილიც დარჩა მოხსენებით.

აღსანიშნავია ერთი მეტად სიმპატიური მოვლენა, სახელდობრ — მშრომელი ქალების ჩაბმა პოლიტგანათლების საქმეში. მენშევიკების დროს ქალთა მოძრაობას არ ეძლეოდა არავითარი მნიშვნელობა და მშრომელ მასაში არ არსებობდა ქალთა ორგანიზაციები. დღეს მდგომარეობა ამ დარგში არსებითად შეცვლილია. ქალთა დამოუკიდებელი ორგანიზაციები იჭერს შესაფერის ადგილს განმანთავისუფლებელ მოძრაობასა და ბრძოლაში. , აპრილის 20-ს სენაკის ქალთა ბიუროს ინიციატივით, მოწვეულ იქმნა ძონძირ-ისულის თემის მშრომელ ქალთა საზოგადო კრება. კრებას დაესწრო სამასამდე ქალი. მოსმენილ იქმნა მოხსენება ქალთა ორგანიზაციების მიზანსა და მნიშვნელობის შესახებ. დასასრულ ძონძირ-ისულის ქალთა ორგანიზაციამ ხელმძღვანელად ერთხმად აირჩიეს ისულის მემ. ს.—დ. კომიტეტის წევრი ამხ. მანუშა ხოფერია. ამრიგად, ჩვენთვის მომზადდა ნიადაგი ქალთა მასაში შეჭრისა და მასში ჩვენი იდეების გავრცელებისათვის.

საერთოდ, პარტიულ ორგანიზაციის გაფართოებას და პარტიული მუშაობის გაცხოველებას აქვს სასურველი მომავალი.

იმერლი გლეხი.

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

## დადგენილება № 10

**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი**

კერძო მფლობელობის სახლებში საცხოვრებელი სადგომების შესახებ.

1. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში სახლის მეპატრონეთა მფლობელობაში, სარგებლობაში და განკარგულებაშია, ყველა სახლი გარდა მუნიციპალიზაციაში ქმნილი და სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებული სახლებისა.

2. სახლის მეპატრონე ვალდებულია განაგოს სახლი პირადათ ან განსაკუთრებული რწმუნებული პირის მეშვეობით, აწარმოოს საჭირო რემონტი და სისრულეში მოიყვანოს ადგილობრივ ხელისუფლების ყველა განკარგულება, როგორც სანიტარული, ისე ადმინისტრატიული ხასიათისა.

3. სახლის მეპატრონეს უფლება აქვს განახსვისოს ყოველგვარი სახით, გასცეს იჯარით და გააქირაოს ბინა.

4. ყველა, ვისაც სადგომი უჭირავს, კერძო პირი, საზოგადოება თუ საბჭოთა დაწესებულება, ვალდებულია დააკმაყოფილოს სახლის მეპატრონე ბინის ქირით.

5. მდგმურები ბინის ქირის გადახდის მხრივ განიყოფებიან ორ კატეგორიათ;

1 **კატეგორია**: ა) ყველა ვინც სავსებით დაკარგა შრომის უნარი შრომის ან სამხედრო ფრონტზე და იმყოფება სოციალურ უზრუნველყოფაზე; ბ) უმუშევარნი, რომელნიც იმყოფებიან რა აღნუსხვაზე, სარგებლობენ სოციალური დაზღვევის უფლებით; გ) წითელი არმიელნი და სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კერძო დაწესებულებათა და წარმოებათა მუშა-მოსამსახურენი, უკეთუ ისინი პროფესიონალური კავშირის წევრებია და არა აქვთ სხვა, არა შრომით მოპოვებული შემოსავალი; დ) მოსწავლენი, რომელნიც ცხოვრობენ დამოუკიდებლად,—არა მშობლებთან.

2 **კატეგორია**: ყველა დანარჩენი მოქალაქენი.

6. დადგენილება 1 კატეგორიის პირთათვის საცხოვრებელი სადგომის ქირის რაოდენობისა, იმ საბინაო ფონდისა, რომელიც აღებულ უნდა იქნეს აღნუსხვაზე, და აღებულ ოთახების სარგებლობის წესის შესახებ საქართველოს სხვა და სხვა ადგილას—გამოცემული უნდა იქნეს ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საჭიროებისამებრ.

7. აღნუსხვაზე აღებულ ოთახებისათვის მეპატრონე მიიღებს ქირას მდგმურებისაგან.

8. ორივე კატეგორიის პირი გადაიხდის ბინის ქირას მთელი სასარგებლო სივრცისათვის, რაც მას უჭირავს ან იმ ოჯახს, რომელსაც იგი ინახავს.

9. პირველი კატეგორიის პირი დაჭერილ სადგომისათვის გადაიხდის ქირას განსაკუთრებული ტარიფით.

10. ყველა დანარჩენი მოქალაქენი გადაიხდიან ბინის ქირას სახლის მეპატრონესთან შეთანხმებით.

11. პირველი კატეგორიის პირმა მიმდინარე თვის ბინის ქირა უნდა გადაიხადოს არა უგვიანეს ამ თვის გასვლისა, ხოლო მეორე კატეგორიის პირმა ყოველთვიურად წინდაწინ, უკეთუ ამ უკანასკნელსა და სახლის მეპატრონეს შორის ამ საგანზე რაიმე სხვა შეთანხმება არ მოხდება.

12. მდგმურის გამოსახლება შეიძლება მხოლოდ სახალხო სასამართლოს დადგენილებით.

**შენიშვნა 1**; პირველი კატეგორიის პირი ბინის ქირის გადაუხდელობისათვის შეიძლება გამოსახლებულ იქნეს სახალხო სასამართლოს დადგენილებით წინა მუხლში აღნიშნულ ვადაზე, უკეთუ ბინის ქირის გადაუხდელობა გამოწვეულ არ არის სამსახურში ჯამაგირის თავის დროზე მიუღებლობისა ან სხვა საპატიო მიზეზით.

**შენიშვნა 2**: უკეთუ სახლის მეპატრონე და მეორე კატეგორიის მდგმური, რომელიც უკვე სცხოვრობს სახლში, ვერ შეთანხმდნენ, ბინის ქირას განსაზღვრავს სახალხო სასამართლო ყველა გარემოებათა მიხედვით, ხოლო ქირის რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს უწყებული რაიონის სათანადო სადგომის ომამდე არსებულ ქირას (ბონებზე გადატანით).

13. ამა დეკრეტის გამოქვეყნებისას, ძალას ჰკარგავს ამ საგანზე წინად გამოცემული ყველა დეკრეტი და დადგენილება.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ბ. მდივანი.

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი ალ. სვანიძე.

1922 წ. მაისის 15.

ტფილისი-სასახლე.

# რაშია საქმე?

მოკლეთ უნდა ავწერო ის უსამართლობა და გაჭირვება მუშა-მოსამსახურეთა და სადარაჯო გუნდის წითელ არმიელებისა, რომელნიც იყვნენ გადაყვანილნი ქართულ შეერთებულ ბრიგადის ნივთ-საწყობიდან „ოკას" ნივთ-საწყობის უფროსის განკარგულებაში, თანახმად ს. ს. სამხედრო და საზღვაო კომისარიატის ბრძანებისა 25/XII 1921 წ. ზემოაღნიშნული მუშები, მოსამსახურეები და სადარაჯოს გუნდის წ. არმიელები ჩარიცხულნი იქმნენ „ოკას" ნივთ-საწყობებში ა/წ 1-ლ იანვრიდან. იანვრის ჯამაგირი მოგვცეს აპრილში საბჭოთა ფულებით იმ დროს, როდესაც საბჭოთა ფული მილიონი ღირდა 120,000 მან. ქართული ბონებით, ხოლო რაც შეეხება—თებერვლის, მარტის და აპრილის თვეების ჯამაგირსს—დღესაც არა გვაქვს მიღებული; ჩემს შეკითხვაზე, თუ როგორაა წარსული თვების ჯამაგირის შესახებ საქმე, საწყობის უფროსმა მიპასუხა: „მიმართეთ საქმის მწარმოებელს და ის მეტყვის სულყველაფერსა. უკანასკნელმა მითხრა, თქვენ შტატში არა ხართ ჩარიცხული, როცა შტატი ახალი დამტკიცდება, მაშინ გამოგიწერთ ჯამაგირს წარსული თვეების სულყველას ერთადო. და ასე გვაიმედებდა 29 აპრილამდე. 29 აპრილს გამოუცხადა მუშებს, რომ თქვენ ხართ დათხოვნილი სამსახურიდან, შტატის შემოკლებისა გამო. ჩემს შეკითხვაზე თუ, რატომაა უმიზეზოდ, რომ ყველა ქართველებს ითხოვთ სამსახურიდან, საწყობის უფროსმა ისსინსკიმ განაცხადა: „მე ვითხოვ ყველა ქართველებს იმიტომ, რომ, ისინი მუშაობდნენ ქართულ ბრიგადის ნივთ-საწყობში, ხოლო სურსათ-სანოვაგეს ჩემგან ღებულობდნენო". გასაკვირია ამხ. ისსინსკის მოქმედება; როცა ქართველი მუშები მივლინებული იყო სადარაჯო გუნდში, პირადად მე რამოდენიმეჯერ მიბრძანა მან, „რომ ყველა მუშებმა იმუშავონ თავიანთი ადგილზე, სანამ აღმნუსხველი კომისია არ გაათავებს მუშაობას, გათავებისას მე თვითონ გავანაწილებ მუშებს მაღაზიებშიო, ხომ სულ ერთია ყველა მაღაზიები ჩვენს ხელში გადადისო". ამ რიგად ისსინსკიმ დაითხოვა უსაფუძვლოთ და უმიზეზოთ რამოდენიმე წლის ნამსახური მუშა ქართველები; იმის მაგივრად, რომ მათთვის ნუგეში მიეცა, დაცინვის კილოთი უთხრა მუშებს: „თქვენ ეხლა თავისუფალი ხართ, შეგიძლიათ საითაც გინდა იქით წახვიდეთ, ფული ეხლა არ არის და ვინ იცის იქნება თუ არაო, დაუტოვეთ ვექილობა ვინმეს და თქვენ წადითო". ამ სიტყვებით ისსინსკიმ გაისტუმრა 23—მუშა საწყობიდან 1-მაისს. მეორე დღესვე დაიწყო მან მიღება ახალი მუშებისა და ათ მაისამდე მიიღო 13 კაცამდე ახალი მუშა. საჭიროა ყურადღების მიქცევა ვისგანაც ჯერ არს, რათა მოსთხოვონ ისსინსკის ახსნა-განმარტება, თუ რა მიზეზით იქმნა დათხოვილი ქართველი მუშები, აგრეთვე სია მიღებულ და დათხოვნილ მუშებისა 20 აპრილიდან 10-მაისამდე, საიდანაც გამოირკვევა ყოველივე სიმართლე.

დრ. გუნდის უფროსი
კალ. ქაჯაია.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი— მთავარი კომიტეტი

**დაიკარგა** პირადობის მოწმობა მოცემული [illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ტირაჟი 700 საქართვ. კომუნისტურ. პარტიის ცენტ. კომიტ. სტამბა. კრუზენშტერნის ქუჩა, 4. ნ. დ. ს. ც.